

შპს სერვის ექსპრეს+

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
შენიშვნა 3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
შენიშვნა 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
შენიშვნა 5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	10
შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები.....	11
შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები.....	11
შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
შენიშვნა 9. ამონაგები.....	12
შენიშვნა 10. საოპერაციო ხარჯები.....	12
შენიშვნა 11. ფინანსური რისკები.....	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7966	23929	92488
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	238226	542440	818926
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	124987	111424	1469768
მარაგები	403145	888696	842971
მზა პროდუქცია	403145	888696	842971
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	270000	270000	270000
ძირითადი საშუალებები	60833	70500	73700
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1105157	1906989	3567853
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	181610	119172	0
სავაჭრო ვალდებულებები	306821	366436	476233
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	99269	89893	96311
საგადასახადო ვალდებულებები	50201	57561	1544716
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	30000	30000	13867
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	33452	24710	106122
სულ ვალდებულებები	701353	687772	2237249
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	401700	401700	401700
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2104	817517	928904
სულ საკუთარი კაპიტალი	403804	1219217	1330604
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1105157	1906989	3567853

შპს სერვის ექსპრესი-ის

დირექტორის მინდობილი პირი

დემეტრი ყაჭიური



მთავარი ბუღალტერი

ნათია შერევაშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	1509383	1727676
საქონლის გაყიდვიდან	167172	64784
მომსახურების გაწევიდან	1342211	1662892
გაყიდვების თვითღირებულება	-1161063	-703957
საერთო მოგება	348320	1023719
დასაქმებულთა ანაზღაურება	-757257	-794511
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-13999	-9803
საპროცენტო შემოსავალი	11746	13048
საპროცენტო ხარჯი	-7200	-7200
იჯარის ხარჯი	-166923	-151480
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-213515	-241030
სულ საოპერაციო ხარჯები	-1147148	-1190976
საოპერაციო მოგება	-798828	-167257
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-8546	75560
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-8039	-19690
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	-815413	-111387
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-815413	-111387
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-815413	-111387
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1219217	1330604
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	403804	1219217

შპს სერვის ექსპრესი-ის

დირექტორის მინდობილი პირი

დიმიტრი ყაჭიური



მთავარი ბუღალტერი

ნათია მერებაშვილი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-7417	-53591
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-7417	-53591
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-8546	-14968
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	23929	92488
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7966	23929

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	პერიოდის მ/ზ	სულ კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	1253460	-368	1253092
ნაშთი 31.12.2020	1253092	172154	1425246
ნაშთი 31.12.2021	1425246	-94642	1330604
ნაშთი 31.12.2022	1330604	-111387	1219217
ნაშთი 31.12.2023	1219217	-815413	403804

შპს სერვის ექსპრესი-ის

დირექტორის მინდობილი პირი

დამიტრი ყაჭიური



მთავარი ბუღალტერი

ნათია მერებაშვილი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სერვის ექსპრესი პლიუსი დაფუძნებულია 2010 წლის 1 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის სეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იურიდიული მისამართი არის საქართველო, ტიციან ტაბიძის 43. ფაქტობრივი მისამართია თბილისი, ვაჟა-ფშაველას 30ა. შპს სერვის ექსპრესი+ ბაზარზე ოპერირებს ორი ფილიალით თბილისის და ქუთაისის ფილიალით, რომლის ფაქტობრივი მისამართია ირაკლი აბაშიძის 10.

საწარმოს დამფუძნებლები არიან:

1. რამაზ ბერიძე 61006013301 – 38,4%
2. ნუგზარ სურმანიძე 61006011170 – 21,95%
3. ნათია ბრეგვაძე 0102474652 – 21.65%
4. შპს ტექნოსერვისი 205042611 – 18%

შპს სერვის ექსპრესი+ (ტექნოსერვისი) წარმოადგენს ისეთი ცნობილი ბრენდების ავტორიზებულ სერვის ცენტრს, როგორიც არის Samsung, indezit, electrolux, Ig, vitek და სხვა. კომპანიის მიზანია მომხმარებელს შესთავაზოს ხარისხიანი მომსახურება ყველაზე დაბალი ფასებით. კომპანიის საქმიანობა მოიცავს შემდეგი ტექნიკის შეკეთებას:

- მობილური ტელეფონები
- პლანშეტური კომპიუტერები
- ნოუტბუქები
- მონიტორები
- LCD-LED-SMART ტელევიზორები
- ციფრული ფოტოაპარატები
- მაცივრები
- სარეცხი მანქანების შეკეთება-მონტაჟი
- კონდიციონერის შეკეთება-მონტაჟი
- მტვერსასრუტი
- მიკროტალღური ღუმელი
- წვრილი საოჯახო ტექნიკა

შპს სერვის ექსპრესი+ უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული პროდუქციის საგარანტიო და გარანტიის შემდგომ მომსახურებას, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მონტაჟს, დიაგნოსტიკას.

შენიშვნა 2. სააღრიცხვო პოლიტიკა

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოთხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

2.1 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი და 1 ევრო = 2.9753 ლარი (2022 წელი: 1 აშშ დოლარი = 2.7020 და 1 ევრო = 2.8844, 2021 წელი: 1 აშშ დოლარი = 3.0976 და 1 ევრო = 3.5040)

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

2.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-

ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა, სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

2.3. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. არამატერიალური აქტივი წარმოადგენს კომპიუტერულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით.

2.4. მარაგები

მარაგები წარმოადგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს

2.5. სავაჭრო დებიტორები

რეალიზაცია ხორციელდება დარიცხვის მეთოდით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისთვის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

2.6. ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისთვის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

2.8. სესხები.

კომპანიას გააჩნია როგორც სასესხო მოთხოვნა, ასევე სასესხო ვალდებულება. სესხზე დარიცხული პროცენტები აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

2.9. შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

2.9.1. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. გადასახდელი ხელფასები, წლიური შევებულება და ავადმყოფობის გამო შევებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

შენიშვნა 3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული	5126	1709	1419
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2840	22082	37560
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	0	138	53509
სულ ფულადი სახსრები	<u>7966</u>	<u>23929</u>	<u>92488</u>

შენიშვნა 4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სავაჭრო დებიტორული დავალიანება			
სულ დებიტორული დავალიანება	<u>230753</u>	<u>542440</u>	<u>818926</u>

შენიშვნა 5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მარაგები			
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	<u>403145</u>	<u>888696</u>	<u>842971</u>

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

31.12.2021

საბალანსო ღირებულება 73700

31.12.2022

საბალანსო ღირებულება 70500

31.12.2023

საბალანსო ღირებულება 60833

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

31.12.2021

საბალანსო ღირებულება 270000

31.12.2022

საბალანსო ღირებულება 270000

31.12.2023

საბალანსო ღირებულება 270000

შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
სულ კრედიტორული დავალიანება	<u>170982</u>	<u>1921066</u>	<u>2237249</u>

შენიშვნა 9. ამონაგები

	2023	2022	2021
სულ ნეტო ამონაგები	<u>1509383</u>	<u>1727676</u>	<u>2552637</u>

შენიშვნა 10. საოპერაციო ხარჯები

	2023	2022	2021
შრომის ანაზღაურება	757257	794511	792008
იჯარის ხარჯი	166923	151480	169762
ცვეთა და ამორტიზაცია	13999	9803	11279
საპროცენტო ხარჯი	7200	7200	10504
სხვა ხარჯები	213515	241030	214640
სულ საოპერაციო ხარჯები	<u>1158894</u>	<u>1198193</u>	<u>1198193</u>

შენიშვნა 11. ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან, რომელთა დადგენაც შეუძლებელია და რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინოს კომპანიის ოპერაციებზე მატერიალური კუთხით. ეს რისკები მოყვანილია ქვემოთ:

- ❖ სახელშეკრულებო შეთანხმებები დამკვეთებთან - ბრენდებზე დამოკიდებულება
- ❖ ფინანსური რისკები - ლარის გაცვლითი კურსის რყევა დოლარისა და ევროს მიმართ, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ინფლაციის ზემოქმედება და ა.შ.
- ❖ ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში

შპს სერვის ექსპრესი-ის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2024 წლის 28 სექტემბერს

შპს სერვის ექსპრესი-ის

დირექტორის მინდობილი პირი

დიმიტრი ყაჭიური



მთავარი ბუღალტერი

ნათია მერებაშვილი

